



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW  
**Iliia State University**

საქართველო, თბილისი 0179, ილია ჭავჭავაძის გამზ. 45; ტელ: (995 32) 2 220009; [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge); [info@iliauni.edu.ge](mailto:info@iliauni.edu.ge)  
45 Iliia Chavchavadze Ave.; 0179 Tbilisi, Georgia; Phone: (995 32) 2 220009; [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge); [info@iliauni.edu.ge](mailto:info@iliauni.edu.ge)

R/185-26  
10/06/2026

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ბატონ დავით აკობიძეს  
სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება  
სამოქალაქო საქმეზე № 330210025011975074

მხარეები:

მოსარჩელე - [REDACTED]

მოპასუხე/შეგებებული სარჩელის ავტორი - [REDACTED]

მოსაზრების წარმდგენი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკა

## I. შესავალი და სასამართლოს მეგობრის მოტივაცია

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით. დოკუმენტის უმთავრესი მიზანია, დაეხმაროს სასამართლოს იმ რთული და მრავალკომპონენტური სამართლებრივი სტანდარტების განმარტებასა და გამოყენებაში, რომლებიც დაკავშირებულია მსხვილი კომპანიების საჯარო პირად მიჩნევასთან და მათ მიმართ გამოხატვის თავისუფლების ფარგლების განსაზღვრასთან.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ პრიორიტეტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასამართლოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეფექტურ გამოყენებას ეროვნულ მართლმსაჯულებაში, მათ შორის ასოცირების შეთანხმების მე-4 მუხლი <sup>1</sup> პირდაპირ ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას „მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში“, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული პრინციპების განმტკიცებას.

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული „12 პრიორიტეტის“ მე-11 პუნქტს, რომლის თანახმადაც, საქართველოს სასამართლოებმა „პროაქტიულად უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები“ საკუთარი სამართლებრივი მსჯელობის ფარგლებში, რაც ევროპული სამართლებრივი სტანდარტების ეროვნულ მართლმსაჯულებაში ინტეგრირების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს.<sup>3</sup> როდესაც დავის საგანი ეხება მსხვილი ბიზნეს-სუბიექტის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას, განსაკუთრებით ისეთ ინოვაციურ და მგრძნობიარე თემაზე, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვა საზოგადოებრივ სივრცეში, სასამართლო დგება უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე: მან უნდა იპოვოს ბალანსი კორპორაციულ რეპუტაციასა და

<sup>1</sup> Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Article 4 (“Domestic reform”). იხ. ბმული: [https://eur-lex.europa.eu/eli/agree\\_internation/2014/494/oj/eng](https://eur-lex.europa.eu/eli/agree_internation/2014/494/oj/eng) (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

<sup>2</sup> European Commission, Opinion on the European Union membership application by Georgia, 17 June 2022, Priority No. 11: “Adopt legislation so that Georgian courts proactively take into account European Court of Human Rights judgments in their deliberations”. იხ. ბმული: <https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/12%20Priorities.pdf> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17 (29.06.2020 მდგომარეობით მოქმედი კონსოლიდირებული ვერსია). იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესს შორის, რათა განიხილოს ამა თუ იმ ტექნოლოგიის ეთიკური, სოციალური და სამართლებრივი გავლენა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს, თითოეული ადამიანის განვითარებისა და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია - სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას. „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს, ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. [...] ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს“.<sup>4</sup>

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ ემსახურება რომელიმე მხარის სუბიექტური პოზიციის მხარდაჭერას. იგი მიზნად ისახავს ეროვნული და საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის, ასევე სამეცნიერო-დოქტრინული მიდგომების სინთეზირებას, რათა სასამართლოს მიეწოდოს სიღრმისეული ანალიზი საჯარო პირის თემნის ვალდებულებასა და ე.წ. „მსუსხავი ეფექტის“ პრევენციის აუცილებლობის შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა კლინიკა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების ავტორს, 2018 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერითა და ნორთვესტერნის უნივერსიტეტთან (ილინოისის შტატი, აშშ) თანამშრომლობის ფარგლებში დაფუძნდა. აღნიშნული მხარდაჭერა 2022 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ (ROLP) პროექტის ფარგლებში გაგრძელდა. ადამიანის უფლებათა კლინიკა კლინიკური იურიდიული განათლების ამერიკული მოდელის მიხედვით ფუნქციონირებს და წარმოებული საქმეების წარმატებისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ კლინიკებს შორის ერთ-ერთ წამყვან იურიდიულ კლინიკად მიიჩნევა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა კლინიკა უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს იმ პირებს, რომელთა მიმართაც განხორციელდა სხვადასხვა სახის უფლებადარღვევა, მათ შორის დისკრიმინაციის ან/და ძალადობის მსხვერპლ მოქალაქეებს, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს. საქმეების წარმოების გარდა, კლინიკას სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების გამოცდილებაც აქვს (*მაგ., დისკრიმინაციის აკრძალვის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და პრევენციის დოკუმენტები*). ადამიანის უფლებათა კლინიკის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს კონფიდენციალურობის პოლიტიკის დაცვა წარმოადგენს, რაც კლინიკის მიმართ ნდობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნებისთვის კლინიკა იყენებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე არსებულ სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს ორგანოებისთვის ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენას. საქართველოში კლინიკური იურიდიული განათლების ხელშეწყობისთვის, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის/დანერგვისთვის, ადამიანის უფლებათა

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2/482,483,487,502, 18.04.2011. იხ. ბმული: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

კლინიკა მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო და კლინიკური იურიდიული განათლების კონფერენციებში. კლინიკა ასევე წარმოადგენს კლინიკური იურიდიული განათლების ევროპული ქსელის (ENCLE) წევრს.

## II. საჯარო პირის დოქტრინის ევოლუცია და ფუნქციური მიდგომა ეროვნულ კანონმდებლობაში

### 2.1. საკანონმდებლო დეფინიციის მიზნობრივი განმარტება

საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (შემდგომში წარმოდგენილი, როგორც - კანონი) 1-ელი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი საჯარო პირის დეფინიციას არ ზღუდავს მხოლოდ პოლიტიკური ან სახელმწიფო თანამდებობის პირებით. ნორმის მიზნობრივი (ტელეოლოგიური) განმარტება ცალსახად მიუთითებს, რომ საჯარო პირია ნებისმიერი სუბიექტი (მათ შორის იურიდიული პირი), „რომლის გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ან რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება“.<sup>5</sup>

დოქტრინაში აღიარებულია ე.წ. „შეზღუდული მიზნების მქონე საჯარო პირის“ კონცეფცია, რაც გულისხმობს იმას, რომ პირი, რომელიც საკუთარი ნებით ერთვება კონკრეტულ საზოგადოებრივ განხილვაში ან სთავაზობს საზოგადოებას პროდუქტს/სერვისს, რომელიც ცვლის სოციალურ დინამიკას, ავტომატურად იღებს საჯარო პირის სტატუსს ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

ეს კონცეფცია სათავეს იღებს ანგლო-ამერიკული პრეცედენტული სამართლიდან. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საქმეებზე: Curtis Publishing Co. v Butts (1967) და Gertz v. Robert Welch, Inc. (1974).

საქმეზე Curtis Publishing Co. v Butts (1967), დავა ეხებოდა ყოველკვირეულ ჟურნალ The Saturday Evening Post-ში გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ჯორჯიის უნივერსიტეტის სპორტის დეპარტამენტის დირექტორი და ყოფილი მთავარი მწვრთნელი უოლას ბატსი (Wallace Butts) დაადანაშაულეს ალაბამას უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელთან ფეხბურთის მატჩის ე.წ. ჩაწყობის მიზნით შეთქმულებაში. სტატიის ერთადერთი წყარო იყო სადაზღვევო აგენტი, რომელმაც, მისი მტკიცებით, შემთხვევით მოისმინა მწვრთნელების სატელეფონო საუბარი. განსახილველ საქმეზე აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ Curtis Publishing Co. v Butts საქმეზე განსაზღვრული “ბოროტი განზრახვის” მტკიცების მაღალი სტანდარტი ვრცელდება არა მხოლოდ საჯარო მოხელეებზე, არამედ ზოგადად “საჯარო პირებზეც”. მთავარმა მოსამართლე უორენმა თავის დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ზღვარი სამთავრობო და კერძო სექტორებს შორის სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, ხოლო არასამთავრობო საჯარო ფიგურები ხშირად არსებით როლს თამაშობენ საზოგადოების მართვასა და სოციალური პროცესების წარმართვაში. სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი ასეთი პირების ქმედებების მიმართ, ხოლო თავად ამ პირებს აქვთ საკმარისი გავლენა და მედიაზე წვდომა საკუთარი რეპუტაციის დაცვის მიზნით.<sup>6</sup>

<sup>5</sup> საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ი“. იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/document/view/33208?publication=9> (ბოლო წვდომის თარიღი: 26.05.2026).

<sup>6</sup> Curtis Publishing Co. v. Butts U.S. 130 (1967). იხ. ბმული: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/388/130/> (ბოლო წვდომის თარიღი: 26.05.2026).

რაც შეეხება საქმეს *Gertz v. Robert Welch, Inc.* (1974), ცნობილი ჩიკაგოელი ადვოკატი ელმერ გერცი სასამართლო დავაში თავისი ინტერესების წარმოდგენის მიზნით დაიქირავა ოჯახმა, რომლის შვილიც პოლიციელმა მოკლა. ამერიკული მემარჯვენე ორგანიზაციის პერიოდულმა გამოცემამ “*American Opinion*” გამოაქვეყნა სტატია, სადაც გერცი მოიხსენია, როგორც “ლენინისტი” და კომუნისტური შეთქმულების მონაწილე, რომლის მიზანიც პოლიციის დისკრედიტაცია იყო. გერცმა შეიტანა სარჩელი ცილისწამებაზე, თუმცა მოპასუხე მხარე ამტკიცებდა, რომ ვინაიდან საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, გერცი უნდა მიჩნეულიყო საჯარო პირად. მოცემულ საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მკაფიოდ გამიჯნა კერძო და საჯარო პირების სამართლებრივი სტატუსი. სასამართლომ შემოიტანა “შეზღუდული მიზნების მქონე საჯარო პირის” კატეგორია, რომელიც განისაზღვრა, როგორც პირი, რომელიც ნებაყოფლობით იჭრება ან ჩართულია კონკრეტულ საზოგადოებრივ დაპირისპირებაში/დისკუსიაში, რათა გავლენა მოახდინოს ამ საკითხის გადაწყვეტაზე. სასამართლომ ზემოთ მოცემული სტატუსი დაასაბუთა შემდეგი კრიტერიუმებით:

1. მედიაზე წვდომა: ასეთ სუბიექტებს აქვთ უკეთესი წვდომა “ეფექტური კომუნიკაციის არხებზე” (მედიაზე), რათა საჯაროდ უარყონ მცდარი ბრალდებები.
2. რისკის ნებაყოფლობით აღება: ისინი კერძო პირებისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით იღებენ საზოგადოებრივი ყურადღებისა და კრიტიკის რისკს, როდესაც კონკრეტულ საჯარო საკითხში ერთვებიან.<sup>7</sup>

ამგვარად, ამერიკული პრეცედენტული სამართლის ევოლუცია - *Curtis*-ის საქმით “საჯარო ფიგურის” დოქტრინის გაფართოება და *Getz*-ის პრეცედენტით “შეზღუდული მიზნების მქონე საჯარო პირის” შემოტანა მათ შორის აისახა ქართულ საკანონმდებლო რეალობაში. კანონის პირველი მუხლის “ი” ქვეპუნქტის დეფინიცია შეესაბამება ამერიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც საჯარო პირად მიიჩნევა ის, ვინც საკუთარი ქმედების შედეგად საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ექცევა, ან ვის გადაწყვეტილებას ან/და აზრს დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს დოქტრინული გამიჯვნა განსაზღვრავდა მტკიცების ტვირთის განაწილებასაც. კერძოდ, კანონის 2024 წლის 17 სექტემბრის რედაქციით მოსარჩელის საჯარო პირად (მათ შორის, შეზღუდული მიზნების მქონე საჯარო პირად) მიჩნევის შემთხვევაში, მას ეკისრებოდა სპეციალური კანონის (*“სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონი*) მე-14 მუხლით გათვალისწინებული “ბოროტი განზრახვის” (*Actual Malice*) არსებობის მტკიცება, განსხვავებით იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელეს კერძო პირი წარმოადგენდა. გარდა ამისა, განცხადების ცილისწამებად კვალიფიცირებისთვის მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტს. 2025 წლის 26 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით კანონიდან ამოღებულ იქნა “ბოროტი განზრახვის” არსებობის მტკიცების ვალდებულება და შეიცვალა ფაქტის მცდარობის მტკიცების ტვირთი - ზემოაღნიშნული მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ფაქტის მცდარობისა და “ბოროტი განზრახვის” არსებობის საჯარო პირის მიერ მტკიცება ხელს უწყობს სამართლებრივი ბალანსის უზრუნველყოფას და დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ეფექტურ დაცვას ე.წ. SLAPP<sup>8</sup> სარჩელებისგან, რაც კრიტიკის ფარგლებს საჯარო დაინტერესების მქონე საკითხებთან მიმართებით გაცილებით ფართოს ხდის.

<sup>7</sup> *Gertz v. Robert Welch, Inc.*, 418 U.S. 323, 351 (1974). იხ. ბმული: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/418/323/> (ბოლო წვდომის თარიღი: 26.05.2026).

<sup>8</sup> **მოსაზრების ავტორის შენიშვნა:** იგულისხმება სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი მონაწილეობის წინააღმდეგ, როდესაც გავლენიანი სუბიექტები ცდილობენ სასამართლო სარჩელის მუქარით გააჩუმონ კრიტიკული მედია, მომხმარებლები ან სამოქალაქო აქტივისტები.

## 2.2. პრეზუმფცია გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი იმპერატიული დათქმა: ყოველგვარი გონივრული ეჭვი საჯარო თუ კერძო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას უნდა გადაწყდეს საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. ეს ნორმა არ არის უბრალო საპროცესო ინსტრუმენტი, იგი წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ გარანტიას, რათა გამოირიცხოს საჯარო აქტორების მიერ კერძო პირის სტატუსის ამოფარებით საზოგადოებრივი კრიტიკის ჩახშობა.

ეს დათქმა არ წარმოადგენს უბრალო საპროცესო ტექნიკას - იგი გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ მოქმედი უმნიშვნელოვანესი მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციაა. კანონმდებელი წინასწარ ადგენს, რომ საჯარო ინტერესისა და საზოგადოებრივი დებატების უფლების დაცვა გაცილებით მაღალი კონსტიტუციური სიკეთეა, ვიდრე მაღალი გავლენის მქონე ცალკეულ პირთა რეპუტაცია. თუ სასამართლოს ეჭვი ეპარება იმაში, პირი კერძო სუბიექტად უნდა დაკვალიფიცირდეს თუ საჯაროდ, კანონი მას ავალდებულებს, რომ ეჭვი საჯარო პირის სტატუსის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

საყურადღებოა, რომ ცილისწამების დავების დროს საჯარო პირად სუბიექტის დაკვალიფიცირებას თან ერთოდა მასზე მტკიცების მეტი ტვირთის განაწილება. კერძოდ, თუ მოსარჩელე მიჩნეული იყო კერძო პირად, კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მისი მხრიდან ცილისწამების დასამტკიცებლად საკმარისი იყო მის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის გავრცელების დადასტურება და ზიანის არსებობა. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი მოსარჩელე მიჩნეული იყო საჯარო პირად, მას კანონის მე-14 მუხლი აკისრებდა მტკიცების გაცილებით მძიმე ტვირთს - მას უნდა ემტკიცებინა “ბოროტი განზრახვა” (Actual Malice), ანუ ის, რომ მოპასუხემ წინასწარ იცოდა ფაქტის სიყალბის შესახებ ან გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა. 2025 წლის 26 ივნისს კანონში შესული ცვლილებების თანახმად შეიცვალა აღნიშნული მიდგომა როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე განზრახვის არსებობა/არარსებობის დადასტურების ნაწილში. ვინაიდან კანონის დღეს მოქმედი რედაქცია გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების მტკიცების ტვირთს მოპასუხეს აკისრებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებაზე (თუკი მოსარჩელე საჯარო პირია) - მოპასუხის კეთილსინდისიერებაზე, კერძოდ, უცნობი იყო თუ არა მისთვის ფაქტის მცდარობა და განცხადების გავრცელებამდე ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად მიიღო თუ არა მან ყველა აუცილებელი გონივრული ზომა. კეთილსინდისიერად მოპასუხის მიჩნევისთვის ასევე ნიშანდობლივია საკმარისად კეთილგონიერი/წინდახედული ადამიანის პრინციპის (Reasonably Prudent Person Principle)<sup>9</sup> გათვალისწინებაც. აღნიშნული სამართლებრივი სტანდარტი მიემართება ჰიპოთეზურ პირს, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში იჩენს იმ საშუალო ხარისხის სიფრთხილეს/ყურადღებას, უნარს, საღ აზრსა და განსჯას, რასაც გონიერი და წინდახედული ადამიანი გამოიჩენდა მსგავს ვითარებაში. მითითებული სტანდარტი გამოიყენება პირის ქცევის შესაფასებლად - იყო თუ არა მისი ქმედება კეთილგონიერი და საკმარისად ფრთხილი ადამიანის ქცევასთან შესაბამისი, რომელიც იმავე ან მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, სასამართლომ კეთილსინდისიერების განხილვისას ყურადღება უნდა მიაპყროს როგორც მოპასუხის ქცევას -

<sup>9</sup> Law School Data, Legal Dictionary, Legal Definitions - reasonably prudent person. იხ. ბმული: <https://definitions.lsd.law/reasonably-prudent-person>; Washington State Legislature, Reasonably prudent person defined. იხ. ბმული: <https://app.leg.wa.gov/wac/default.aspx?cite=192-100-010> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

რამდენად აკმაყოფილებს მისი ქმედებები საკმარისად კეთილგონიერი/წინდახედული ადამიანის სტანდარტს, ასევე იმ გარემოებას, საერთოდ შესაძლებელი იყო თუ არა არსებული რესურსების ფარგლებში მოპასუხის მიერ ინფორმაციის სისწორის გადამოწმება.

### III. საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები

#### 3.1. გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური საყრდენი: Handyside გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Handyside v. United Kingdom ჩამოაყალიბა ევროპული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი. საქმე ეხებოდა გამომცემელ რიჩარდ ჰენდისაიდს, რომელმაც დიდ ბრიტანეთში გამოაქვეყნა წიგნი, სახელწოდებით “პატარა წითელი სასკოლო წიგნი”. წიგნი გამიზნული იყო მოზარდებისთვის და შეიცავდა ინფორმაციას სექსუალური ურთიერთობის, კონტრაცეფციის, ნარკოტიკებისა და სასკოლო სისტემის კრიტიკის შესახებ. ბრიტანეთის ხელისუფლებამ წიგნი მიიჩნია უხამსად და მავნედ არასრულწლოვანებისთვის. ჰენდისაიდი გაასამართლეს “უხამსი პუბლიკაციების შესახებ” კანონის საფუძველზე, წიგნები ამოიღეს ბაზრიდან, ხოლო გამომცემელს ჯარიმა დაეკისრა.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციასა და იდეებს, რომელთაც საზოგადოება გულგრილად ან დადებითად იღებს, არამედ იმათაც, რომლებიც შეურაცხყოფს, შოკს ჰკვრის ან აშფოთებს სახელმწიფოს ან მოსახლეობის ნებისმიერ ნაწილს.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პლურალიზმი, ტოლერანტობა და ფართო თვალთახედვა არის სწორედ ის ნიშნები, რომელთა გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია. ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ პროპორციულ ტესტს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ აღიარა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლება ბავშვთა მორალის დაცვის კონტექსტში (რადგან არ არსებობდა ერთიანი ევროპული სტანდარტი სექსუალური განათლების მორალურ ზღვართან დაკავშირებით), მან მკაფიოდ დაადგინა, რომ ეროვნული შეფასების არეალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიან ევროპულ სტანდარტებთან. როდესაც დავის საგანია არა მორალი, არამედ საჯარო ინტერესის მქონე სოციალური, პოლიტიკური ან სამეცნიერო-ტექნოლოგიური დებატები, სახელმწიფოს შეფასების ფარგლები არსებითად ვიწროვდება. შესაბამისად, ნებისმიერი კრიტიკა თუ განსხვავებული აზრი, რომელიც საზოგადოებაში შფოთვას ან დისკუსიას იწვევს, სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების მაღალი დაცვის პრივილეგიით და მისი შეზღუდვა საზოგადოების შემფოთების ან კორპორაციისთვის შექმნილი დისკომფორტის მოტივით დაუშვებელია.<sup>10</sup>

<sup>10</sup> ჰენდისაიდის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. The United Kingdom), განაცხადი No. 5493/71, გადაწყვეტილება, 1976 წლის 7 დეკემბერი, პარაგრაფი 49. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57499> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

### 3.2. მსხვილი კომპანიების თემნის ვალდებულება: საქმე Steel and Morris v. The United Kingdom (“McLibel”)

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად მიჯნავს ფიზიკური პირის გამოხატვის თავისუფლებას და კორპორაციების ბიზნეს-რეპუტაციას. საქმეზე Steel and Morris v. the United Kingdom (ე.წ. „McLibel” საქმე), სადაც საკითხი ეხებოდა გარემოსდაცვითი მოძრაობის ორ აქტივისტს (ჰელენ სტილი და დევიდ მორისი), რომლებმაც გაავრცელეს ბროშურა სახელწოდებით “რა არის ცუდი მაკდონალდსში”. ბროშურა აკრიტიკებდა კორპორაციის საქმიანობას ცხოველთა უფლებების, გარემოს დაცვის, მუშახელის ექსპლუატაციისა და ბავშვებზე მიმართული მარკეტინგული სტრატეგიების კუთხით.

მაკდონალდსმა აქტივისტების წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი ცილისწამების საფუძველზე. ეს იყო უპრეცედენტოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული სამართლებრივი დავა. აქტივისტებს, რომლებიც საკუთარ თავს თავად იცავდნენ, არ ჰქონდათ უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა, ხოლო მაკდონალდსი სარგებლობდა ქვეყნის საუკეთესო იურისტების მომსახურებით.

მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ფუნდამენტური პრინციპი: მსხვილი საჯარო და კერძო კომპანიები შეგნებულად აყენებენ საკუთარ თავს ისეთ პოზიციაში, სადაც მათი საქმიანობა მკაცრი და მწვავე საზოგადოებრივი მონიტორინგის საგანია. შესაბამისად, მათი საქმიანობა ბუნებრივად ექვემდებარება მწვავე საზოგადოებრივ მონიტორინგს. კორპორაციული დაცვის ინტერესი არ შეიძლება გათანაბრდეს ფიზიკური პირის პირადი ცხოვრებისა და ღირსების დაცვასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ კორპორაციული რეპუტაციის დასაცავად გამოყენებული სამართლებრივი მექანიზმები არ უნდა იქცეს კრიტიკის ჩახშობისა და სოციალური აქტივობის პარალიზების იარაღად. გარდა ამისა, უზარმაზარი ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნა მწირ-შემოსავლიანი პირების მიმართ იწვევს “მსუსხავ ეფექტს”, რაც აიძულებს საზოგადოებას დააწესოს თვითცენზურა.<sup>11</sup>

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე [REDACTED] წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს და გავლენიან კომერციულ იურიდიულ პირს საქართველოს ბაზარზე, რომელმაც საჯარო ასპარეზზე გამოიტანა მაღალი ტექნოლოგიური და ეთიკური ინტერესის საგანი - ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება შრომის ბაზარზე და ადამიანური რესურსის პოტენციური ჩანაცვლება. “McLibel-ის” საქმეში “მაკდონალდსის” მსგავსად [REDACTED] თავისი საქმიანობის მასშტაბისა და საჯარო აქტივობების შედეგად ნებაყოფლობით ჩადგა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, რაც მას აკისრებს თემნის მაღალ ვალდებულებას კრიტიკის მიმართ. მოპასუხის მიერ სოციალურ ქსელში გამოთქმული კრიტიკული შეფასებები ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა ბიზნეს-რეპუტაციის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას, არამედ თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ სამოქალაქო მონიტორინგის გამოვლინებას. Steel and Morris-ის სტანდარტის თანახმად, მსხვილი კორპორაციის მატერიალური ინტერესების დაცვა ვერ გადაწონის ფიზიკური პირის გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა შორის არსებული რესურსების რადიკალური არაპროპორციულობა და არ დაუშვას, რომ მსხვილი კომპანიის სარჩელი იქცეს კრიტიკული აზრის ჩამხშობ, ფინანსურ რეპრესიულ იარაღად, ვინაიდან ეს ყოველივე

<sup>11</sup> სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Steel and Morris v. The United Kingdom), განაცხადი No. 68416/01, გადაწყვეტილება, 2005 წლის 15 თებერვალი, პარაგრაფი: 87-89. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-68224> (ბოლო წვდომის თარიღი: 27.05.2026).

შემდგომში გამოიწვევს ახალი ტექნოლოგიების ეთიკურობის შესახებ საზოგადოებრივი დებატების შემცირებას ან სრულად გაქრობას.

განსახილველი დავის ფარგლებში, სასამართლოს მეგობარი ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და არ ამტკიცებს ცალსახად, წარმოადგენს თუ არა [REDACTED] საჯარო პირს კანონისმიერი გაგებით. თუმცა, გვსურს სასამართლოს ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებაზე, რომ მან აუცილებლად, საგანგებოდ უნდა იმსჯელოს კომპანიის სტატუსზე. სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად აქცევს [REDACTED] “საჯარო პირად მისი როლი ბაზარზე და ინოვაციური ტექნოლოგიების (ამ შემთხვევაში - ხელოვნური ინტელექტის) დანერგვიდან მომდინარე საზოგადოებრივი ინტერესი (კანონის მიზნებიდან გამომდინარე). აღნიშნული სტატუსის (საჯაროა თუ კერძო პირი) ზუსტი იდენტიფიცირება კრიტიკულადაა აუცილებელი, რათა სასამართლომ შეძლოს გადაწყვეტილების მიღებისას იმ სამართლიანი ბალანსის დაცვა, რომელიც აუცილებელია, ერთის მხრივ, კორპორაციული რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესსა და, მეორეს მხრივ, საზოგადოების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებისა და კრიტიკის უფლების უზრუნველყოფას შორის.

ზემოგანხილული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სასამართლომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა კორპორაციული/საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, მიზანშეწონილია გაითვალისწინოს Steel and Morris v. The United Kingdom-ის საქმეში გამოკვეთილი შემდეგი პრინციპები:

- სუბიექტის საჯარო ხასიათი: მსხვილი ეკონომიკური სუბიექტები, თავიანთი საქმიანობის მასშტაბიდან, საბაზრო წილიდან და საზოგადოებაზე მოხდენილი ზეგავლენიდან გამომდინარე, ობიექტურად ექვევნიან საზოგადოების მხრიდან დაკვირვების სფეროში. შესაბამისად, ასეთი სუბიექტის საქმიანობის შესახებ კრიტიკული აზრის გამოთქმა წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დისკუსიის ნაწილს.
- ძალთა ბალანსი: სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა შესაძლებლობების თანაზომიერება. კორპორაციულ რეპუტაციასთან დაკავშირებული დავები არ უნდა იქცეს ისეთ მექანიზმად, რომელიც არაპროპორციული ფინანსური ან/და სამართლებრივი ტვირთის დაკისრების გზით გამოიწვევს “მსუსხავ ეფექტს”.

### **3.3. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემების რეგულირება: საქმე VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland**

საქმეში VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland საკითხი ეხებოდა ცხოველთა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც შექმნა სატელევიზიო რეკლამა, სადაც ნაჩვენები იყო მეცხოველეობის ფერმებში არსებული მძიმე პირობები. ორგანიზაციას სურდა რეკლამის გაშვება შვეიცარიის საზოგადოებრივ მაუწყებელზე, თუმცა შვეიცარიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა მის ეთერში გაშვებაზე “რადიოსა და ტელევიზიის შესახებ” კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავდა პოლიტიკურ რეკლამას.

ეროვნულმა სასამართლოებმა მოცემული აკრძალვა მიიჩნიეს კანონიერად, რაზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლოს შეფასება ეყრდნობოდა გამოხატვის

მიზნობრიობის დიფერენცირებას: მან მკაფიოდ გამოიჯნა კომერციული რეკლამა (რომლის მიზანია პროდუქციის რეალიზება და სარგებლის მიღება) და საინფორმაციო საზოგადოებრივი კამპანია (რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ, ეთნიკურ და სოციალურ საკითხებზე).

სასამართლომ განმარტა, რომ თუკი კომერციულ რეკლამებთან მიმართებით სახელმწიფო სარგებლობს ფართო შეფასების ფარგლებით, საზოგადოებრივი ინტერესის თემებზე (როგორცაა ცხოველთა უფლებები, გარემო და ტექნოლოგიური ეთიკა) სახელმწიფოს შეფასების არეალი მინიმუმამდე მცირდება. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა თავიანთი უარი დააფუძნეს მხოლოდ ვიდეოს ზოგად “პოლიტიკურ ხასიათზე” და არ მიუთითებიათ მასში არსებული რომელიმე კადრის ან სიტყვის უკანონობაზე. აქედან გამომდინარე, იმ გარემოებას, რომ ვიდეოში გამოყენებული შედარებები იყო მწვავე, პროვოკაციული თუ ზოგიერთი სუბიექტისათვის არასასიამოვნო, არ შეეძლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლება. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საჯარო სივრცეში აზრის გავრცელების წინასწარი შეზღუდვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უკიდურესად სახიფათო ფორმას და მოითხოვს უმკაცრეს კონტროლს.<sup>12</sup>

მოცემული პრაქტიკის გათვალისწინებით, განსახილველი საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლოს ყურადღება გამახვილდეს სადავო საკითხის მიმართ არსებულ საზოგადოებრივ ინტერესზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland-ის საქმეზე დაყრდნობით, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და დაცვის სტანდარტი არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად საკამათო ან არასასიამოვნო გამოთქმული მოსაზრება ბიზნეს-სუბიექტისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეზე დადგენილი პრაქტიკით, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დისკუსია წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. როდესაც ეკონომიკური გავლენის მქონე სუბიექტის საქმიანობა ხდება საზოგადოებრივი განხილვის საგანი, ასეთი კრიტიკის შეზღუდვა მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი აზიანებს კომპანიის საქმიან რეპუტაციას, შესაძლოა არ შეესაბამებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სტანდარტებს.

### 3.4. საზოგადოებრივი ინტერესი და ტექნოლოგიური დისკუსია: ხელოვნური ინტელექტის გავლენა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებით, როდესაც დისკუსია ეხება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემას, გამოხატვის თავისუფლება იძენს გადამწყვეტ უპირატესობას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება უნდა გამახვილოს იმ ფაქტორზე, რომ დავის საგანი სცდება ორ სუბიექტს შორის არსებულ ვიწრო უთანხმოებას და მიემართება თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ საკითხს - ხელოვნური ინტელექტის გავლენას საზოგადოებასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე.

<sup>12</sup> ასოციაცია “ცხოველთა საწინააღმდეგო ფაბრიკები” (VgT) შვეიცარიის წინააღმდეგ (VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland), განაცხადი No. 24699/94, გადაწყვეტილება, 2001 წლის 28 ივნისი, პარაგრაფები: 46-47 და 52. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-59535> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

## ა) ხელოვნური ინტელექტის ტრანსფორმაციული როლი და ლეგიტიმური საზოგადოებრივი შფოთვა

თანამედროვე ეპოქაში ხელოვნური ინტელექტი ადარ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიურ სიახლეს. იგი საზოგადოების ტრანსფორმაციის უმძლავრესი ინსტრუმენტია, რომელიც ინერგება ყოველდღიურ სექტორებში და რადიკალურად ცვლის სოციალურ ინტერაქციებსა თუ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებს.<sup>13</sup> მისი პრაქტიკული შედეგადობა და გავლენა ფარავს თითქმის ყველა სფეროს, დაწყებული განათლებიდან და მარკეტინგიდან, დასრულებული პოლიტიკური პროცესებითა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით.<sup>14</sup>

შესაბამისად, ის, თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანს ხელოვნური ინტელექტი, წარმოადგენს გლობალური განსჯის საგანს. სამეცნიერო დოქტრინაში დამკვიდრდა ტერმინი „AI შფოთვა“ (AI Anxiety), რომელიც განსხვავდება ტრადიციული ავტომატიზაციის შიშისგან და მოიცავს კონტროლის დაკარგვის შიშს, პირადი სივრცის ხელყოფისა და ალგორითმული მიკერძობისგან გამომდინარე უნდობლობას.<sup>15</sup> აღნიშნული შფოთვა ლეგიტიმურია სამართლებრივი თვალსაზრისითაც. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშშია ხაზგასმული, ტექნოლოგიის არარეგულირებადი გამოყენება ქმნის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის რეალურ საფრთხეს.<sup>16</sup>

როდესაც რომელიმე მოწინავე კომპანია საჯაროდ მიმართავს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას, იგი ავტომატურად ექცევა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და შფოთვის ეპიცენტრში. სასამართლომ უნდა შეაფასოს, საზოგადოებაში არსებული მძაფრი რეაქცია წარმოადგენს თუ არა ლოგიკურ გამოძახილს იმ სოციალური რისკებისა, რაც ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის ჩანაცვლების პრეცედენტებს ახლავს თან.

## ბ) ადამიანის ჩანაცვლება შრომის ბაზარზე

საზოგადოებრივი დისკუსიის უმთავრესი ვექტორი მიმართულია შრომითი ბაზრის პოლარიზაციისკენ და უმუშევრობის რისკებისკენ. ხელოვნური ინტელექტი უკვე ახდენს შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაციას, სადაც ავტომატიზაციით ნაცვლდება არა მხოლოდ მექანიკური, არამედ რთული პროფესიული და კოგნიტიური როლები.<sup>17</sup> მაკროეკონომიკური პერსპექტივით,

<sup>13</sup> Brandao, P. R. (2025). The Impact of Artificial Intelligence on Modern Society. AI, 6, 190. MDPI. გვერდები: 2-8. იხ. ბმული: <https://www.mdpi.com/2673-2688/6/8/190> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>14</sup> პირველი, ს., და სხვ. (2024). ხელოვნური ინტელექტი. საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „აკადემლაბი“ N4. თბილისის თავისუფალი აკადემია.

<sup>15</sup> Kim, J. J. H., Soh, J., Kadkol, S., et al. (03.2025). AI Anxiety: a comprehensive analysis of psychological factors and interventions. AI and Ethics. Springer, გვერდები: 4-5. იხ. ბმული: [https://www.researchgate.net/publication/389856731\\_AI\\_Anxiety\\_a\\_comprehensive\\_analysis\\_of\\_psychological\\_factors\\_and\\_interventions](https://www.researchgate.net/publication/389856731_AI_Anxiety_a_comprehensive_analysis_of_psychological_factors_and_interventions) (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>16</sup> საქართველოს სახალხო დამცველი (24.06.2025). სპეციალური ანგარიში: ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის საფრთხე. ქ. თბილისი. იხ. ბმული: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/spetsialuri-angarishi-khelovnuri-intelekti-rogoris-adamianis-uflebebis-datsvaze-negatiuri-zegavlenis-saftrkhe> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>17</sup> ჩოჩია, ა., & იოანეს, ვ. (2020). ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა შრომით ურთიერთობებზე. სამართლის ჟურნალი, N1. თსუ.

მიუხედავად ტექნოლოგიური პროდუქტიულობის ზრდისა, დასაქმების ბაზარზე ჩნდება ეკონომიკური უთანასწორობის ზრდის მყისიერი საფრთხეები.<sup>18</sup>

ასეთ პირობებში, კითხვები შრომითი ბაზრის მომავლის შესახებ (მაგ., *სარეკლამო ინდუსტრიაში დასაქმებულთა ბედი*) სცდება ვიწრო კორპორაციულ ინტერესებს და წარმოადგენს საჯარო ინტერესის მქონე მოვლენას. კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებაც, რომ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, თუ როდის მუშაობენ ადამიანები და ხელოვნური ინტელექტი (AI) საუკეთესოდ ერთად და როდის ჯობია თითოეულმა დამოუკიდებლად იმუშაოს (*“When humans and AI work best together - and when each is better alone”*). აღნიშნულ სტატიაში ავტორები კვლევებზე დაყრდნობით გვეუბნებიან, რომ ადამიანები შეუცვლელი არიან ისეთ დავალებებში, რომლებიც მოითხოვს კონტექსტის გაგებას, ემოციურ ინტელექტს და კრეატიულობას.<sup>19</sup>

### გ) ტექნოლოგიური ბუნდოვანება და გონივრული ვარაუდის ფარგლები

აუცილებელია, აღინიშნოს ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ავტარის ტექნიკურ-სამართლებრივი სპეციფიკა. ხელოვნური ინტელექტი არ ქმნის გამოსახულებას „სუფთა ფურცლიდან“. მისი გენერაციული მოდელები იქმნება რეალური, ცოცხალი ადამიანების მონაცემებით (ფოტოებით, ვიდეოებით ან ე.წ. „სკრიპტებით“). ხელოვნური ინტელექტის მუშაობის პროცესი მომხმარებლისთვის და ხშირად თავად შემქმნელებისთვისაც კი გაუმჭვირვალეა.

იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს ვიზუალური მსგავსებისა და ტექნოლოგიური წვდომის შესაძლო საკითხი, ხსენებული ტექნოლოგიური სირთულე და ექსპერტიზის პრობლემები თავისთავად ქმნის საფუძველს გონივრული ვარაუდისთვის და ეჭვისთვის. სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებები არა ცილისწამებას, არამედ ტექნოლოგიური გაუმჭვირვალეობის შედეგად გაჩენილ ლეგიტიმურ კითხვებს.

### 3.5. ევროკავშირის რეგულაციები და სახელმწიფოს მიერ ტექნოლოგიების დარეგულირების ტვირთის მხარეებზე გადატანის დაუშვებლობის პრინციპი

წინამდებარე სამართლებრივი რეალობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩო ჯერ კიდევ არ არსებობს, რაც წარმოშობს ე.წ. საკანონმდებლო ვაკუუმს (რეგულირების არარსებობა). ამგვარ პირობებში, სასამართლო დგება ფუნდამენტური კონსტიტუციური კითხვის წინაშე: *რამდენად დასაშვებია სახელმწიფოს მიერ სფეროს*

<sup>18</sup> New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 154 (1964). იხ. ბმული: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/376/254/> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>19</sup> Brian Eastwood, “When humans and AI work best together - and when each is better alone”, 03.02.2025. იხ. ბმული: <https://mitsloan.mit.edu/ideas-made-to-matter/when-humans-and-ai-work-best-together-and-when-each-better-alone> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

დაურეგულირებლობისა და სამართლებრივი განუსაზღვრელობის ნეგატიური შედეგების არაპროპორციული სამართლებრივი ტვირთის სახით მხარეებზე გადატანა?

სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტულ სამართალში, მოითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა უფლებებში იყოს მკაფიოდ “კანონით გათვალისწინებული”, ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით და ხელმისაწვდომი, რათა სუბიექტმა შეძლოს საკუთარი ქცევის წინასწარ განჭვრეტა და რეგულირება. როდესაც სახელმწიფო უშვებს საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობას ისეთ ტრანსფორმაციულ და სოციალურად მგრძობიარე სფეროში, როგორც ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, იგი ბუნებრივად ქმნის სისტემურ გაურკვევლობას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მკაფიოდ არის დამკვიდრებული პრინციპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს უმოქმედობის, საკანონმდებლო ხარვეზის ან საჯარო ორგანოს შეცდომის ნეგატიური შედეგები არ უნდა იქნეს აღმოფხვრილი ან კომპენსირებული კონკრეტული პირის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოქტრინა ხშირად ყალიბდება საკუთრების უფლების დაცვის ფარგლებში,<sup>20</sup> იგი წარმოადგენს სასამართლოს უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების ზოგად კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც თანაბრად ვრცელდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროზეც.

საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირი ადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, კერძოდ, ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (EU AI Act)<sup>21</sup>. ეს კანონი ევროპულ სივრცეში უმთავრესი იმპერატიული კანონია, რომლის 53-ე მუხლი განსაზღვრავს ზოგადი დანიშნულების AI მოდელების (General-purpose AI) მიმწოდებელთა ვალდებულებებს. კომერციულ მომხმარებლებს კანონი ავალდებულებს, შეინახონ დეტალური ტექნიკური დოკუმენტაცია. მათ მარეგულირებელი ორგანოს ან სასამართლოს მოთხოვნისთანავე უნდა წარადგინონ იმ სატრენინგო მონაცემების დეტალური შეჯამება, რაც მოდელის შესაქმნელად გამოიყენეს. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)<sup>22</sup> რომლის ანგარიშვალდებულების პრინციპის (მე-5 მუხლი) მიხედვით, მონაცემთა დამმუშავებელი (ანუ კომპანია) არის პასუხისმგებელი და უნდა შეეძლოს იმის დამტკიცება, რომ იცავს მონაცემთა დამუშავების ყველა წესს. თუ კომპანიამ წაშალა AI-ისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ე.წ. “ლოგები” და ვერ ამტკიცებს, რა მონაცემებით შექმნა AI-ის მიერ გენერირებული პროდუქტი (გამოსახულება), ის ავტომატურად არღვევს ამ მუხლს. ასევე მოქმედებს მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - კანონიერების, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპი, რომელიც კრძალავს მონაცემთა ფარულ დამუშავებას. მე-6 მუხლი შეეხება დამუშავების კანონიერებას - თუკი კომპანია შეეცდება ამტკიცოს, რომ ვიდეოების დამუშავებისას მას არ გამოუყენებია ბიომეტრიული პარამეტრები, არამედ ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემები (*მაგ., ვიდეო არქივი*), მე-6 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე მაინც სჭირდება შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. თუ მხედველობაში მივიღებთ ხსენებული რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, მარკეტინგული მიზნებისთვის

<sup>20</sup> იხილეთ საქმეები: გლადიშევა რუსეთის წინააღმდეგ (*Gladysheva v. Russia*), განაცხადი No. 7097/10, გადაწყვეტილება, 2011 წლის 6 დეკემბერი, პარაგრაფი 80. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-107713>; კრივოვა რუსეთის წინააღმდეგ (*Krivtsova v. Russia*), განაცხადი No. 35802/16, გადაწყვეტილება, 2022 წლის 12 ივლისი, პარაგრაფი 69. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-218301> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>21</sup> Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 laying down harmonised rules on Artificial Intelligence. იხ. ბმული: <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2024/1689> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>22</sup> Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data. იხ. ბმული: <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj/eng> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

პირის იდენტობის მითვისების შემთხვევაში (მით უფრო კონტრაქტის დასრულების შემდეგ), მოსარჩელის ლეგიტიმური ინტერესი ვერ გადაწონის ე.წ. კონტენტ-კრეატორის (Content creator) ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მიხედვით, არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, პირის სახის გამოსახულება და ხმა, რომლებიც სპეციალური ტექნიკური საშუალებებით დამუშავებისას (AI-ის მიერ პირის იდენტიფიცირების, კლონირების ან ბიომეტრიული პროფილის შესაქმნელად) კვალიფიცირდება როგორც ბიომეტრიული მონაცემები. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიკაციის მიზნით პრინციპულად აკრძალულია. ამავე მუხლის მეორე პუნქტი უშვებს აღნიშნულ მონაცემთა დამუშავებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობა საქმეში OQ v. Land Hessen (პროცესში ჩაბმული მხარე - SCHUFA Holding AG)<sup>23</sup> წარმოადგენს ფუნდამენტურ პრეცედენტს ევროკავშირის სივრცეში ავტომატიზებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების სამართლებრივი შეფასების ნაწილში. აღნიშნულ საქმეში მესამე მხარედ ჩართული გახლდათ SCHUFA Holding, რომელიც გერმანიაში მოქმედ უმსხვილეს საკრედიტო ბიუროს წარმოადგენს. აღნიშნული ბიურო აგროვებს მონაცემებს მომხმარებელთა ფინანსური ქცევის შესახებ და მათემატიკური, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ადგენს მათი კრედიტუნარიანობის ალბათობას (ე.წ. საკრედიტო ქულას), ეს ქულები კი გადაეცემათ მათ პარტნიორ ბანკებს, რათა მათ თავის მხრივ, შეაფასონ სახელშეკრულებო რისკები. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე პირს, ინიციალებით OQ, საკრედიტო ბიურომ უარი განუცხადა სესხის გაცემაზე მას შემდეგ, რაც SCHUFA Holding-ისგან მიიღო მისი ნეგატიური საკრედიტო მაჩვენებელი. მოსარჩელემ მიმართა SCHUFA Holding-ს და მოითხოვა თავის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა. სააგენტომ განმცხადებელს მიაწოდა ინფორმაცია მის საკრედიტო ქულაზე და ამ ქულის გამოთვლის ზოგად პრინციპებზე, დანარჩენი ინფორმაცია კი, რომელიც გამოიყენებოდა ალგორითმული გამოანგარიშების პროცესში, არ გასცა კომერციული საიდუმლოების დაცვის მოტივით. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები გახლდათ საკრედიტო ბიურო და არა SCHUFA Holding, ევროკავშირის სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელი იყო სააგენტოს მიეწოდებინა ინფორმაცია დახურული ალგორითმის შესახებ, რათა არ შეზღუდულიყო მოსარჩელის უფლება, მიეღო არსებითი ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების ლოგიკის შესახებ, რომელიც გარანტირებულია GDPR-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის “თ” ქვეპუნქტით.

შესაბამისად, იმისათვის, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლება ჰქონდეს წვდომა თავის პერსონალურ მონაცემებზე, კომპანიამ აუცილებელია გასცეს ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კონკრეტული ალგორითმული მოდელი ან გამოსახულება.

ასევე, საქმეზე *Annen v. Germany*<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც მხარე ითხოვს სხვისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას თავისი რეპუტაციის დაცვის მოტივით, სასამართლომ უნდა შეაფასოს თავად ამ მოსარჩელის წინარე ქცევა. თუ მოსარჩელის

<sup>23</sup> OQ v, Land Hessen intervener SCHUFA Holding AG Case C-634/21, 07.12.2023, პარაგრაფები: 61, 62. იხ. ბმული: <https://infocuria.curia.europa.eu/tabs/document?source=document&docid=280426&doclang=en> (ბოლო წვდომის თარიღი: 28.05.2026).

<sup>24</sup> ანენი გერმანიის წინააღმდეგ (*Annen v. Germany*), განაცხადი No. 3690/10, გადაწყვეტილება, 2016 წლის 26 თებერვალი, პარაგრაფები: 62, 63. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-158880> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

ქმედება არაკეთილსინდისიერია, მისი მოთხოვნა რეპუტაციის დაცვაზე ვერ გადაწონის მოპასუხის უფლებას, საჯაროდ გამოხატოს კრიტიკა.

ამ პრინციპის წინამდებარე დავასთან პროპორციული მიმართების გაანალიზებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

1. მტკიცების ტვირთის არაპროპორციული გადანაწილება: ტექნოლოგიური და საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში, როდესაც არ არსებობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების, ალგორითმული გამჭვირვალობისა და აღნიშნული მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ეროვნული სტანდარტები, პირს არ შეიძლება დაეკისროს მტკიცების ისეთივე მაღალი ტვირთი, როგორც ტრადიციულ და რეგულირებად ურთიერთობებში. ვინაიდან თავად გენერაციული ტექნოლოგია ხასიათდება ბუნდოვანებით (რაც თავად შემქმნელებისთვისაც კი ნაწილობრივ გაუმჭვირვალეა), ნებისმიერი საჯარო ეჭვი თუ კრიტიკული კითხვა ობიექტურად არის განპირობებული ამავე ტექნოლოგიური და სამართლებრივი ბუნდოვანებით.
2. სასამართლოს მიერ სამართლებრივი ვაკუუმის შევსების ფარგლები: იმ პირობებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ აწესრიგებს კონკრეტულ სადავო საკითხებს, სასამართლო არ უნდა გახდეს სახელმწიფოს უმოქმედობის ტვირთის მხარეებზე გადამტანი. სამართლებრივი ვაკუუმის არსებობისას, ეროვნულმა სასამართლოებმა გამოსავალი უნდა ეძიონ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში, არამედ საქართველოს კონსტიტუციური ნორმებისა და კონვენციის (კერძოდ მე-10 მუხლის) მოთხოვნების პირდაპირ, მაღალი სტანდარტებით გამოყენებაში.
3. პროპორციულობისა და სამართლიანობის ბალანსი: სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად სამართლიანია, პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის იმ საკითხზე მსჯელობის გამო, რომლის ლეგიტიმური საზღვრებიც კი არ არის კანონით დადგენილი. ამგვარ პირობებში კრიტიკის აკრძალვა ან მისი ცილისწამებად მიჩნევა ფაქტობრივად გამოიწვევს გამოხატვის თავისუფლების სრულ “პარალიზებასა” და სისტემურ “მსუსხავ ეფექტს”, რადგან მოქალაქეებს შეეშინდებათ ნებისმიერი ახალი, დაურეგულირებელი ტექნოლოგიის მიმართ გამოთქვან კრიტიკული აზრი.

შესაბამისად, სასამართლოს მეგობარს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ტექნოლოგიური სფეროს დაურეგულირებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი განუსაზღვრელობის ტვირთი არ იქნეს მიმართული მხარის საზიანოდ და სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მაქსიმალურად იხელმძღვანელოს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ არსებული კონსტიტუციური პრეზუმფციით.

## IV. მტკიცების ტვირთი

### 4.1. New York Times v. Sullivan

თანამედროვე სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე New York Times Co. v. Sullivan. 1960-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის დროს, გაზეთმა New York Times გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მხარს უჭერდა მარტინ ლუთერ კინგსა და სხვა აქტივისტებს. სტატია შეიცავდა გარკვეულ ფაქტობრივ უზუსტობებს ალაბამას შტატის პოლიციის ქმედებებთან დაკავშირებით.

მონტგომერის პოლიციის კომისარმა, ლ. ბ. სალივანმა მიიჩნია, რომ აღნიშნული უზუსტობები მის პირად რეპუტაციას ლახავდა, რის გამოც გაზეთს ცილისწამებისათვის სასამართლოში უჩივლა. მიუხედავად იმისა, რომ სალივანი სტატიაში პირდაპირ დასახელებული არ ყოფილა, ადგილობრივმა სასამართლომ მას დაუკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და გაზეთს დააკისრა სოლიდური თანხის გადახდა.

მოცემულ საქმეზე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება და დაადგინა ფუნდამენტური სტანდარტი, რომელიც ცნობილია როგორც “ფაქტობრივი ბოროტი განზრახვა” (Actual Malice) რომლის პრინციპებიც იმპლემენტირებული იყო საქართველოს კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის რედაქცია, მუხლი 14). აღნიშნული სტანდარტის თანახმად, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ ფორმალურ მხარეზე, არამედ იმ ეფექტზე, რომელიც ცილისწამების სარჩელებს აქვს საზოგადოებრივ დისკუსიაზე. როგორც აღნიშნული პრეცედენტი მიუთითებს, დემოკრატიულ სივრცეში აუცილებელია “სუნთქვის სივრცის” არსებობა, რათა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე მსჯელობა იყოს თავისუფალი და შეუფერხებელი. საჯარო პირმა ცილისწამების დასამტკიცებლად უნდა დაძლიოს ურთულესი ბარიერი: მან უნდა დაამტკიცოს მოპასუხის ბოროტი განზრახვა.<sup>25</sup>

ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უტყუარად უნდა დაადასტუროს, რომ მოპასუხემ: ა) წინასწარ, დანამდვილებით იცოდა თავისი განაცხადის სიყალბის შესახებ, ან ბ) გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა ჭეშმარიტების დასადგენად. თუკი განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, აზრს ან თუნდაც გაზვიადებულ, მწვავე კრიტიკას, იგი საერთოდ არ ექვემდებარება ჭეშმარიტების/მცდარობის შემოწმებას და დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

## 4.2. ასიმეტრიული<sup>26</sup> დავა და „მსუსხავი ეფექტის“ რისკები

აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი ან ირიბი სახე. პირდაპირ ჩარევას წარმოადგენს აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისთვის ხელისშემშლად, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის აზრის გამოხატვას (მათ შორის, აზრის გამოხატვის წინასწარი შეზღუდვა). რაც შეეხება არაპირდაპირ ჩარევას, იგი “არ ქმნის უშუალო დაბრკოლებებს საკომუნიკაციო უფლებებით სარგებლობისას, თუმცა იწვევს ნეგატიურ შედეგებს, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის უფლების რეალიზაციას. მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანია დამაშინებელი მოქმედება, ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“ (chilling effect), როდესაც პირი იძულებული ხდება თავი შეიკავოს უფლების გამოყენებისაგან.”<sup>27</sup>

<sup>25</sup> New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 154. იხ. ბმული: <https://supreme.justia.com/cases/federal/us/376/254/> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>26</sup> **მოსაზრების ავტორის შენიშვნა:** იგულისხმება პროცედურული და სტრატეგიული უთანასწორობა მხარეებს შორის, სადაც მსხვილი ეკონომიკური სუბიექტის რესურსული უპირატესობა რადიკალურად აღემატება ფიზიკური პირის შესაძლებლობებს.

<sup>27</sup> ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, “ძირითადი უფლებები - კომენტარი” (2023), ქ. თბილისი. გვ. 420, პარაგრაფები: 1114, 1115. იხ. ბმული:

<https://www.academia.edu/113830822/%E1%B2%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

სასამართლოს მიერ განსახილველი დავა შესაძლოა შეიცავდეს რისკებს, რომელსაც ამგვარი “მსუსხავი ეფექტი” ექნება საზოგადოებაზე. ასეთი სარჩელების უმთავრესი მიზანი არა იმდენად ზიანის ანაზღაურებაა, არამედ კრიტიკოსების ფინანსური, ემოციური და სამართლებრივი გამოფიტვა. როდესაც მსხვილი ფინანსური ბრუნვის მქონე კომპანია უჩივის ფიზიკურ პირს, იქმნება რესურსების რადიკალური ასიმეტრია. სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა მსგავსი სარჩელების დაკმაყოფილებამ არ გამოიწვიოს „მსუსხავი ეფექტი“ მთელს საზოგადოებაზე - ანუ, არ დააშინოს სხვა მოქალაქეები ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების კრიტიკის ჭრილში.

მოცემული რესურსული ასიმეტრიის გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა შეაფასოს დავის პროცესუალური კონტექსტი და განსაზღვროს, ხომ არ იქცევა სასამართლო განხილვა “გამოფიტვის სტრატეგიის” ინსტრუმენტად. კორპორაციული/საქმიანი რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური ინტერესი არ შეიძლება მოდიოდეს წინააღმდეგობაში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დისკუსიასთან. როდესაც ფიზიკური პირი დგება მსხვილი კორპორაციის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების წინააღმდეგ, იქმნება ვითარება, სადაც თავად სამართალწარმოების პროცესიც კი თავისი ხანგრძლივობით, საადვოკატო მომსახურების ხარჯებითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით ხდება ერთგვარი “სასჯელი” კრიტიკული აზრის გამოთქმის გამო.

სწორედ ამ ასიმეტრიული ბუნების გამო, “მსუსხავი ეფექტი” არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული მოპასუხით. ის წარმოშობს სისტემურ საფრთხეს საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც. თუ ნებისმიერ მოქალაქეს ეცოდინება, რომ მსხვილი ბიზნეს-სუბიექტის კრიტიკა სავარაუდოდ გამოიწვევს სასამართლო დავის დაწყებას, სადაც მხარეთა ძალები არათანაბარზომიერია, ზემოაღნიშნული ბუნებრივად განაპირობებს თვითცენზურის დამკვიდრებას. შედეგად, საზოგადოება შეწყვეტს მსჯელობას ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, მომხმარებელთა უფლებები, ბიზნეს-პრაქტიკა ან ტექნოლოგიური სერვისების ხარისხი.

სასამართლო, როგორც კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტი, ვალდებულია აღკვეთოს სამართლებრივი მექანიზმების “ზოროტად” გამოყენების პერსპექტივები. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ რეპუტაციის დაცვის მოთხოვნა არ გადაიზარდოს კრიტიკული ხმის ჩახშობისა და სოციალური აქტივობის “პარალიზების” იარაღად. საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე დისკუსია უნდა იყოს თავისუფალი და დაცული, ხოლო ასიმეტრიული დავების დროს, სასამართლოს როლი უნდა იყოს განსაკუთრებით აქტიური, რათა არ მოხდეს ფინანსური რესურსების უპირატესობის გამოყენება დემოკრატიული დებატების დისკრედიტაციის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე სასამართლომ უნდა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი. კერძოდ, რეპუტაციის დაცვის ინტერესი არ უნდა იქცეს კრიტიკული აზრის ჩახშობის მექანიზმად, ხოლო სასამართლო პროცესი არ უნდა იქცეს დაშინების ინსტრუმენტად საზოგადოების იმ წევრებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს ბიზნეს-სექტორზე.

### 4.3. ფაქტი VS მოსაზრება

კანონი მოსაზრებასა და ფაქტს მიჯნავს ერთმანეთისგან და აქცევს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში. კერძოდ, კანონის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი,

აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს,<sup>28</sup> რომელსაც ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად გააჩნია აბსოლუტური ხასიათი და მისი შეზღუდვა დაუშვებელია.

სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამოიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი.<sup>29</sup> ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე - სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.<sup>30</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის საქმეებზე *Lingens v. Austria*; *Jerusalem v. Austria*<sup>31</sup> და სხვა, ერთმანეთისაგან განასხვავა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა) და განმარტა, რომ „ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს“.

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფაქტსა და შეფასებით მსჯელობას მტკიცებადობის კრიტერიუმით მიჯნავს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კრიტიკული მსჯელობა სრულიად თავისუფალია შეზღუდვებისგან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სადავო განცხადება შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს, უფლებაში ჩარევის პროპორციულობა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი (*Sufficient factual basis*) სადავო განცხადების გასაკეთებლად, ვინაიდან თუკი შეფასებითი მსჯელობა წარმოადგენილია ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე, იგი შეიძლება ზღვარსგადაცილებულად/არაპროპორციულად შეირაცხოს.<sup>32</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კანციალი პოლონეთის წინააღმდეგ, (*Kancial v Poland*),<sup>33</sup> რომელიც ეხება მოსარჩელის დაკავებისას პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ფიზიკური ძალის გამოყენებას (პოლიციელებმა დაკავებისას მის მიმართ გამოიყენეს ელექტროშოკური იარაღი), ასევე მე-3 მუხლის დარღვევას (წამების აკრძალვას) და ამ ფაქტზე არაეფექტური გამოძიების ჩატარებას. მითითებულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს: “სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავის დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც უნდა გააკეთოს მკაფიო დიფერენცირება ფაქტების

<sup>28</sup> იხ. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 1-ელი მუხლის “ბ” ქვეპუნქტი.

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1477-1489-2011, 03.04.2012. იხ. ბმული: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/50970/1> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-179-172-2012, 01.10.2014. იხ. ბმული: <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/54652/1> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>31</sup> ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (*CASE OF LINGENS v. AUSTRIA*), განაცხადი No. 9815/82, გადაწყვეტილება, 1986 წლის 8 ივლისი. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-57523> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>32</sup> თურჰანი თურქეთის წინააღმდეგ (*TURHAN v. TURKEY*), განაცხადი No. 48176/99, გადაწყვეტილება, 2005 წლის 19 აგვისტო, პარაგრაფი: 24. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-69091> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>33</sup> კანციალი პოლონეთის წინააღმდეგ (*CASE OF KANCIAŁ v. POLAND*), განაცხადი No. 37023/13, გადაწყვეტილება, 2019 წლის 23 აგვისტო, პარაგრაფები: 73, 74, 75, 79. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-193080> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

კონსტატაციასა და შეფასებით მსჯელობას შორის. ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცდეს მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტება მტკიცებას არ ექვემდებარება.” აღნიშნული საქმე საინტერესო იმ მხრივაც, რომ ფართო განმარტება მისცა კონკრეტულ ტერმინებს და აღნიშნა, რომ ტერმინი, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება მიუთითებდეს ფაქტობრივ დანაშაულზე, კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება იყოს უბრალო მწვავე შეფასება - “განმცხადებლის მიერ გამოყენებული გამონათქვამები, მიუხედავად მათი გაზვიადებული და უხეში ფორმისა, წარმოადგენდა მის სუბიექტურ შეფასებას (შეფასებით მსჯელობას) იმ ტრავმულ მოვლენებზე რაც თავს გადახდა. შესაბამისად, მისი დასჯა იყო გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.” ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია “საყოფაცხოვრებო კონტექსტის” შეფასება იმიტომ, რომ კონკრეტული სიტყვები (ისეთი მძიმე სიტყვებიც კი, როგორცაა “ზანდიტი”, “კორუმპირებული”) შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მოსაზრება და არა ფაქტი, თუ ისინი ემოციურ ფონზე იქნა გამოყენებული.

საქმეში საჯარო პირის მონაწილეობა და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა შეფასებითი მსჯელობის ფარგლებს საკმაოდ აფართოებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში KULIŚ v. POLAND, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტის მიერ ადვოკატთან ჩაწერილი ინტერვიუს გამოქვეყნებას, სადაც ადვოკატი აკრიტიკებდა ცნობილ პოლიტიკოსს (სეიმის ვიცე-სპიკერს), აღნიშნავს, რომ კრიტიკული შეფასების დასაშვები ფარგლები უფრო ვრცელია მაშინ, როდესაც საქმეში საჯარო პირია ჩართული, ვინაიდან იგი გარდაუვალად და შეგნებულად აყენებს საკუთარ თავს საზოგადოებრივი ყურადღების არეალში და შესაბამისად, ვალდებულია გამოიჩინოს თმენის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი. საზოგადოებრივი ინტერესისა და ამ თემის შესახებ მიმდინარე საჯარო განხილვის ფარგლებში მართალია, განცხადების ავტორი ვალდებულია, არ გასცდეს გარკვეულ საზღვრებს სხვათა რეპუტაციისა და უფლებების პატივისცემის მიზნით, თუმცა მას უფლება აქვს მიმართოს საკითხის გარკვეული ხარისხით გაზვიადებას, პროვოკაციას, ან გააკეთოს სხვაგვარად ზომიერებას გაცდენილი განცხადებები.<sup>34</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში ვალდიმარ ჟურეკი პოლონეთის წინააღმდეგ, სამართლიანი სასამართლოსა (მე-6 მუხლი) და გამოხატვის თავისუფლების (მე-10 მუხლი) უფლების დარღვევაზე მსჯელობს. მოცემულ საქმეში მოსამართლემ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სპიკერმა ვალდემარ ჟურეკმა საჯაროდ გააკრიტიკა სამთავრობო რეფორმები, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სასამართლოს დამოუკიდებლობას. ხელისუფლებამ მას ვადაზე ადრე შეუწყვიტა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მანდატი, გადააყენა სასამართლოს სპიკერობიდან და მის წინააღმდეგ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ჩართვით ფინანსური და პროფესიული შევიწროების კამპანია დაიწყო. ამ საქმეში CASE OF ŻUREK v. POLAND<sup>35</sup> სასამართლო მიჯნავს ფაქტსა და მოსაზრებას ერთმანეთისაგან იმ განსხვავებით, რომ აფასებს, რა ტიპის გამონათქვამებთან გვაქვს საქმე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის (მოსამართლე ჟურეკის) განცხადებები ეხებოდა უმაღლესი საჯარო ინტერესის საკითხს და ასეთ თემებზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის სახელმწიფოს ძალიან ვიწრო ჩარჩოები აქვს. ასევე მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რომ თუ გამონათქვამი კვალიფიცირდება, როგორც შეფასებითი მსჯელობა (მოსაზრება), მას მაინც უნდა გააჩნდეს გარკვეული საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი (sufficient factual basis). რადგან თუ

<sup>34</sup> კულისის პოლონეთის წინააღმდეგ (CASE OF KULIŚ v. POLAND), განაცხადი No. 15601/02, გადაწყვეტილება, 2008 წლის 18 ივნისი, პარაგრაფი: 47. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-85484> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

<sup>35</sup> ჟურეკი პოლონეთის წინააღმდეგ (CASE OF ŻUREK v. POLAND), განაცხადი No. 39650/18, გადაწყვეტილება, 2022 წლის 10 ოქტომბერი, პარაგრაფები: 222-226. იხ. ბმული: <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-217705> (ბოლო წვდომის თარიღი: 29.05.2026).

მოსაზრებას საერთოდ არ გააჩნია ფაქტობრივი საყრდენი, ის შეიძლება გასცდეს დაცვის ფარგლებს და ჩაითვალოს გადამეტებულ, შეურაცხმყოფელ თავდასხმად.

მოცემულ დავაში მოპასუხე აკრიტიკებს [REDACTED] ხელოვნური ინტელექტის არაეთიკურად გამოყენების გამო, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანური რესურსის სავარაუდო ჩანაცვლება და წარმოშვას შემოქმედებითი პლაგიატის რისკები. მოპასუხის მიერ მოსაზრების გამოხატვას ჰქონდა ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ ის მსგავსება, რაც მასსა და ვიდეოში გამოსახულ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ ავატარს შორის არსებობს, რომელიც ნათელი გახდა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საზოგადოების უმრავლესობისთვის. [REDACTED] მიერ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება და მათი საჯაროდ გამოქვეყნება შესაძლოა ჩაითვალოს საკმარის ფაქტობრივ საფუძვლად მის შესახებ კრიტიკული შეფასებითი მსჯელობისათვის, განსაკუთრებით დღევანდელ რეალობაში, როდესაც ტექნოლოგიების განვითარება და მისი გავლენა დასაქმებაზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფოს, ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას ძალიან ვიწრო ჩარჩო გააჩნია.

მიგვაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე, სასამართლომ უმაღლესი სტანდარტების გამოყენებით აუცილებლად უნდა შეაფასოს მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული განცხადება ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის ჭრილში, რაც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფუნდამენტურ გარანტიას და იმ აუცილებელ წინაპირობას, რომელიც გამორიცხავს სუბიექტური შეფასებების მიმართ დაუსაბუთებელ სამართლებრივ დევნას. სასამართლომ თითოეული სადავო გამონათქვამის ანალიზისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებები, რომელთა პირობებშიც განხორციელდა კომუნიკაცია. მხოლოდ ფრაზების იზოლირებულად, ენობრივი ან სემანტიკური მნიშვნელობით განხილვა არ არის საკმარისი. აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა იყო მხარის მიზანი - ფაქტის კონსტატაცია, თუ ემოციური დამოკიდებულების, შეფასების ან/და კრიტიკული აზრის გამოხატვა. იმ პირობებში, როდესაც სიტყვიერი ფორმები, მიუხედავად მათი შესაძლო სიმწვავისა თუ უხეშობისა, წარმოადგენს საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე მიმდინარე დისკუსიის ნაწილს, სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროს და თავი შეიკავოს ასეთი შეფასებების “ფაქტად” დაკვალიფიცირებისგან, რათა არ მოხდეს აზრის თავისუფალი მიმოცვლის ხელოვნური შეზღუდვა.

## V. დასკვნითი შეფასება და რეკომენდაციები სასამართლოსთვის

ყოველივე ზემოაღნიშნულის სისტემური და სიღრმისეული სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლოს მეგობარს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს შემდეგი მიდგომებით:

1. **სტატუსის სიღრმისეული შეფასება:** სასამართლომ არსებითად უნდა იმსჯელოს [REDACTED] საჯარო თუ კერძო პირის სტატუსზე, მისი საბაზრო გავლენისა და საზოგადოებრივი ინტერესის საგნად ქცეული ინოვაციური პროექტის კონტექსტში, რათა მიღწეული იქნეს სამართლიანი ბალანსი დავის გადაწყვეტისას.

2. **მტკიცების ტვირთის გადანაწილება:** სტატუსის შესაბამისად, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს კანონის მტკიცების ტვირთის განაწილებისა და კეთილსინდისიერების შეფასების სწორ და კრიტიკულად მნიშვნელოვან მიდგომაზე.
3. **ფაქტის და მოსაზრების გამიჯვნა:** სასამართლომ მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული განცხადებები უნდა შეაფასოს უმაღლესი სტანდარტებით, განსაკუთრებით კი ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ძირითად გარანტიას.
4. **ფართო თემის ვალდებულება:** კრიტიკა, თუნდაც იგი იყოს უხეში ან პროვოკაციული, დაცულია გამოხატვის თავისუფლებით, თუ იგი მიმართულია კომპანიის საჯარო პოლიტიკისკენ და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხისკენ, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი.
5. **დემოკრატიული ბალანსი:** სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ კორპორაციული ინტერესების დაცვამ არ “შთანთქას” მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლება - მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან დისკუსიებში და არ დაუშვას ე.წ. „მსუსხავი ეფექტის“ წარმოშობა.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი ანალიზი და მოხმობილი საერთაშორისო თუ ეროვნული პრაქტიკა დაეხმარება სასამართლოს, გამოიტანოს მაღალი სტანდარტით დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,  
თამარ გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი  
ადამიანის უფლებათა კლინიკის ხელმძღვანელი

**შემსრულებლები:**

*მარიამ გეგეშიძე, ქეთევან თანდაშვილი, ბექა ლაგურაშვილი და ალისა ცაავა (სტუდენტები)*

**პასუხისმგებელი პირები:**

*თამარ გურჩიანი, ხატია ცეცხლაძე, ნატო მირზაშვილი, მანუჩარ ცეცხლაძე*